თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 14

ქ. თელავი 18.09.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მ.შ. **ტიტე დარეჯანიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ლილუაშვილი; გ. მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი: ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე - **გ. ქიზიყელაშვილი;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნ. ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ფ. ყუშიტაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - ტ. დარეჯანიშვილი

<u>**მოისმინეს:**</u> 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ტ. დარეჯანიშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს - **ფ. ყუშიტაშვილს.**

მან აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავს სამ ღონისძიებას: „კულტურული ინიციატივები" – 16 250 ლარი; ფესტივალი „ხელოვნება და შემოქმედება" – 26 250 ლარი და „არქეოლოგიური ბანაკი" – 27 500 ლარი, რომელთაგან ფესტივალი უკვე განხორციელდა და დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 2000 ლარი, ხოლო „არქეოლოგიური ბანაკი"-ს განხორციელების შედეგად დარჩენილმა ეკონომიამ - 620 ლარი. წარმოდგენილი ცვლილების პროექტის თანახმად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დარჩენილი ეკონომია (2 620 ლარი) დაემატოს ღონისძიებას „კულტურული ინიციატივები", რომელიც გამოყენებული იქნება ტრანსპორტირებით მომსახურებისთვის. აღნიშნული ცვლილება პროგრამულ ბიუჯეტზე ცვლილებას არ მოახდენს, ვინაიდან ადგილი აქვს თანხების მუხლობრივ გადანაცვლებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარის მ.შ. ტ. დარეჯანიშვილი